



მარტვილის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი 2022-2025 წლები

ისტორია

მარტვილის მუნიციპალიტეტი — მუნიციპალიტეტი საქართველოში, სამეგრელოს და ზემო სვანეთის მხარეში. 1963-66 წლებში გეგეჭკორის რაიონს შეერთებული ჰქონდა აბაშის რაიონი. ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი მარტვილი.



ქალაქის ძველი სახელწოდებაა ჭყონდიდი. ფეოდალურ ხანაში მარტვილის მონასტერის მიხედვით სოფელსაც მარტვილი ეწოდა. 1930 წლიდან გახდა რაიონული ცენტრი. 1936 წლის 19 მარტს ალექსი გეგეჭკორის პატივსაცემად ეწოდა გეგეჭკორი. 1956 წელს მიენიჭა დაბის, ხოლო 1964 წელს ქალაქის სტატუსი. საბჭოთა პერიოდში მოქმედებდა ჩაის, საკონსერვო, ყველ-კარაქის, ღვინის, ხე-ტყის გადამამუშავებელი ქარხნები, მეფრინველეობის ფერმა. 1985 წელს გაიხსნა საბაგრო გზა ქალაქის ცენტრიდან მარტვილის მონასტრამდე. 1991 წელს კვლავ დაუბრუნდა სახელწოდება მარტვილი. იგი გამოირჩევა უძველესი ისტორიითა და ბუნების მრავალფეროვნებით. რაიონის ტერიტორიაზე ადამიანის ცხოვრების კვალი უძველესი დროიდან იწყება. მარტვილის ძველი სახელწოდებაა ჭყონდიდი, რაც წარმართულ საკულტო მუხის (ჭყონი) ხეს უკავშირდება. იგი განვითარებულ დასახლებულ პუნქტს წარმოადგენდა შუა საუკუნეებშიც, რაზეც, გარდა ისტორიული წყაროებისა, რაიონის ტერიტორიაზე შემორჩენილი უძველესი ტაძრები და ციხე-სიმაგრეებიც მეტყველებს. დღესდღეობით მარტვილში ფუნქციონირებს კულტურულ-საგანმანათლებლო, ჯანდაცვის და სხვა ტიპის დაწესებულებები. მუნიციპალიტეტში განვითარებულია მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, მისდევენ მეცხოველეობას, მეაბრეშუმეობას, მეხილეობას, მევენახეობას და ა.შ. მრეწველობა ძირითადად ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულსა და ჰიდროენერგორესურსებს ემყარება. მარტვილის რაიონს დიდი ტურისტული პოტენციალი აქვს, რასაც ბუნების სილამაზე და ისტორიულ-კულტურული ძეგლების სიმრავლე განაპირობებს. ტურისტული თვალსაზრისით მის მიმზიდველობას ხელს უწყობს ბალნეო-კლიმატური

კურორტი ლეზარდე. თავისი მრავალფეროვნებით მარტვილი უამრავ ადამიანს იზიდავს და წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს.

მდებარეობა

მარტვილის მუნიციპალიტეტი მარტვილის მუნიციპალიტეტი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში.

ფართობი მარტვილის მუნიციპალიტეტის ფართობი შეადგენს 88,060 ჰა-ს, საიდანაც სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უკავია 21,947 ჰექტარი, ხოლო 45,000 ჰა ტყეებს უჭირავს. მუნიციპალიტეტის ზოგადი მონაცემებია: მანძილი თბილისამდე - 279 კმ; მანძილი ზუგდიდამდე - 80 კმ; უახლოესი პორტი ქალაქი ფოთი - 70 კმ; უახლოესი რკინიგზის სადგური - ქ. აბაშა 35 კმ; უახლოესი აეროპორტი-ქუთაისი, კოპიტნარი - 40 კმ.

ადმინისტრაციული ცენტრია ქ. მარტვილი, ხოლო მარტვილის მუნიციპალიტეტში 20 სოფლის ადმინისტრაციული ერთეულია.

გეოგრაფია მარტვილის მუნიციპალიტეტი სამხრეთ ნაწილი ოდიშის დაბლობზეა განლაგებული, ცენტრალური და ჩრდილოეთ ნაწილები კი - ვერისის გედის მთისწინეთსა და მის სამხრეთ კალთებზე. მისი ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი მარტვილი. მარტვილს ჩრდილოეთით ლენტეხის მუნიციპალიტეტი ესაზღვრება, აღმოსავლეთით - **ხონი და ცაგერი**, სამხრეთით - **სენაკი და აბაშა**, დასავლეთით კი - ჩხოროწყუ. მუნიციპალიტეტის უმაღლესი ადგილი, ტეხურას სათავე, ზღვის დონიდან 3003 მეტრზე მდებარეობს. მარტვილში მიედინება მდინარეები ტეხური და აბაშისწყალი. მუნიციპალიტეტის სამხრეთ ნაწილი კოლხეთის ბარის ვაკესა და მთისწინეთს უჭირავს, ხოლო ჩრდილოეთ ნახევარი მთაგორიანია. რაიონის ტერიტორიას სამხრეთ-დასავლეთით ასხის მასივი გასდევს, რომელიც მდიდარია კარსტული გამოქვაბულებით, ჩანჩქერებით, წიაღისეული საბადოებითა და საამშენებლო კირქვით. ლეზარდეს, „ჩექოლასა“ და დვირის მთებში მრავლად გვხვდება სამკურნალო მინერალური წყლები. მუნიციპალიტეტი გამოირჩევა ფლორისა და ფაუნის მრავალფეროვნებით. მარტვილის მუნიციპალიტეტში ნოტიო-სუბტროპიკული ჰავაა, თბილი, ზომიერად ნოტიო ზაფხულითა და რბილი ზამთრით. საშუალო წლიური ტემპერატურა ბარში 12°C-ია, მთიან ზონაში კი ჰაერის ტემპერატურა უფრო ნაკლებია.

დემოგრაფია მარტვილის მუნიციპალიტეტში იგრძნობა მოსახლეობის მიგრაციის პროცესი, რაც გამოწვეულია დასაქმების პრობლემით. ბოლო წლებში გაზრდილია მოსახლეობის გადინება სოფლიდან ქალაქში. მიგრაციის უარყოფითი ტენდენციის მიზეზი მძიმე სოციალური პირობებია, მას შემდეგ რაც ახალგაზრდები უმაღლეს სასწავლებლებში განათლების მისაღებად სხვადასხვა ქალაქებში გადადიან საცხოვრებლად, მუნიციპალიტეტში სამუშაო ადგილების სიმცირის გამო ძალიან მცირე რაოდენობა ბრუნდება, შედეგად თანდათან მოსახლეობის რაოდენობა მცირდება. ასევე მიგრაცია ხდება სხვადასხვა ქვეყნებში და მისი მიზეზი, უმეტეს შემთხვევაში, ასევე არასტაბილური სოციალური მდგომარეობაა.

მმართველობის ორგანოები

მარტვილის მუნიციპალიტეტში, ისევე როგორც საქართველოს ყველა სხვა მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციული ხელისუფლებას ახორციელებს პირდაპირი წესით არჩეული მერი. მუნიციპალიტეტის მერი ადმინისტრაციულ ხელისუფლებას ახორციელებს მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების (სამსახურები), მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არამომგებიანი, არაკომერციული იურიდიული პირებისა (ააიპ)-ის მეშვეობით.

მარტვილის მუნიციპალიტეტი მოიცავს 21 ადმინისტრაციულ ერთეულს: ქალაქი მარტვილი; ბანძის, ვედიდკარის, ინჩხურის, სერგიეთის, აბედათის, ნაგვაზაოს, ნახუნაოს, ნაჯახაოს, ხუნწის, გაჭედილის, დიდი ჭყონის, ონოდის, ტალერის, კურზუს, კიწიის, დოსაყეს, თამაკონის, გურმემის, სალხინოს ლეხაინდრაო.

მოსახლეობა მარტვილის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2019 წლის 1 იანვრის სტატისტიკით შეადგენს 32,2 ათას კაცს, რაც მთლიანად რეგიონის მოსახლეობის 10%-ია. მათგან ქალაქად მცხოვრებთა რაოდენობა, მუნიციპალიტეტის ფარგლებში 13%-ია, ხოლო 87 % ნაწილდება სასოფლო დასახლებებზე. მოსახლეობის რიცხოვნობა ბოლო 5 წლის მანძილზე (2015-2019წწ.) შემცირდა 4%-ით. შემცირების ტენდენციით

ხასიათდება მოსახლეობის სიმჭიდროვე ერთ კვ.კმ-ზე ბოლო ხუთი წლის განმავლობაში (-4%) და 2019 წლის 1 იანვრის მონაცემებით შეადგინა 36,5 კაც/კვ.კმ-ზე.

სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობა 2015 წლიდან 2018 წლის ბოლომდე შემცირდა 2%-ით და მიაღწია 2 239 კაცს. რაც შეეხება პენსიის მიმღებთა რაოდენობას მოცემული დროის მონაკვეთში გაიზარდა 1%-ით (8 045 კაცი).

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებით ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის წილი 15+ ასაკის მოსახლეობაში არის 82%. 2018 წლის მონაცემებით მუნიციპალიტეტში ბიზნეს სუბიექტების წილი რეგიონულ მაჩვენებელთან მიმართებაში 8%-ია და 7%-იანი კლებით ხასიათდება (2015- 2018წწ.)

საჯარო დაწესებულებები

მარტვილის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სხვადასხვა საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული დაწესებულებები. მათ შორისაა:

- 237 საჯარო სკოლა, 6 შერწყმული 2 კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება/სკოლაა, სადაც სწავლობს 6742 მოსწავლე;
- 24 საბავშვო ბაღი - სააღმზრდელო პროცეს გადის 850 ბავშვი;
- მარტვილის გივი ელიავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, კულტურისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი, სამუსიკო სკოლა და ბიბლიოთეკა.
- კულტურისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრის ბაზაზე ფუნქციონირებს 1 ცენტრალური, 1 საბავშვო და 4 სასოფლო ბიბლიოთეკა. სულ 17 საგანმანათლებლო-კულტურული შემცენებითი წრეა.
- ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის ზ. ანჯაფარიძის სახელობის სამუსიკო სკოლის ბაზაზე ფუნქციონირებს საფორტეპიანო და საგუნდო სიმღერების წრეები.
- მუნიციპალიტეტში სპორტის ხელშეწყობის მიზნით ფუნქციონირებს ა(ა)იპ სასპორტო სკოლა და ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლა. ა(ა)იპ სასპორტო სკოლის ბაზაზე ფუნქციონირებს 20 ჯგუფი, 14 სახეობაში.
- ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის ბაზაზე ფუნქციონირებს 15 საფეხბურთო ჯგუფი, მათ შორის: ბიჭების და 1 გოგონების.
- მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 6 სტადიონი, ხელოვნურსაფარიანი 3 მინი მოედანი და ერთი ფიტნეს დარბაზი. ასევე სერგეთში საფეხბურთო სკოლის ბაზაზე ფუნქციონირებს 8 საფეხბურთო ჯგუფი.

ღირსესანიშნაობები

მარტვილის მუნიციპალიტეტში უამრავი ღირსესანიშნავი ადგილია, მ.შ:

მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი - გივი ელიავას სახელობის მუზეუმი ქალაქ . მუზეუმი დაარსდა 1957 წელს.

მუზეუმში ძირითადად დაცულია არქეოლოგიური მასალა, რომლის ქრონოლოგია მოიცავს ადრეული ქვისა და ბრინჯაოს ხანის პერიოდს (სამუშაო და საბრძოლო იარაღები, სარიტუალო ქვები, სხვადასხვა მასალისგან დამზადებული სამკაულები, ძვ. წ. VII-VI სს.-ის ბრინჯაოს ფიგურა "მქადაგებელი", ფიბულები სხვადასხვა გამოსახულებებით და სხვა).

მუზეუმის ფონდში დაცულია მდიდარი ნუმისმატიკური მასალა: ძვ. წ IV-II სს-ის ოქროს მონეტები, კოლხური თეთრი, X-XVIII სს-ის ვერცხლის მონეტების კოლექცია, XVIII-XIX სს-ის ხელნაწერები და სიგელ-გუჯრები და სხვ. აგრეთვე: XIX-XX სს-ის გამოცემებით დაკომპლექტებული ბიბლიოთეკა (5000 ეგზემპლარი), თანამედროვე ქართველ მხატვართა ფერწერული ნამუშევრები: ლადო გუდიაშვილის "სამაია", ელენე ახვლედიანის "ჩვენი სოფელი", აგრეთვე მოსე თოიძის, რობერტ სტურუას, ს. მასისაშვილის, რ. ადამიას, ნამუშევრები, ირაკლი ოჩიაურის, ჯემალ ბჟალავას ქანდაკებები. მუზეუმს აქვს უნიკალური კოლხური ვაზის საკოლექციო ნაკვეთი და ეთნოგრაფიული კუთხე.

დადიანების საზაფხულო რეზიდენცია - ლევან დადიანისეული სასახლე სოფელ სალხინოში, მარტვილის მუნიციპალიტეტში, მდინარე წაჩხურას ნაპირზე.

სალხინოს დადიანების სასახლე, ამჟამად პატრიარქის მარტვილის რეზიდენცია, მარტვილის ტურისტული სივრცის მნიშვნელოვან ძეგლს წარმოადგენს. კომპლექსი მოიცავს სასახლეს, დადიანების კარის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიას, ჭადრის ხეებისა და ბზის კორომების დიდ ხეივანს გაშლილ მინდორზე და პარკს მოსასვენებელი სკამებით. ეზო ძალიან დიდი, ჩრდილიანი, მყუდრო და სასიამოვნოა.

მარტვილის ცნობილი კანიონი. კანიონი გამორჩეულია თავისი ისტორიულობიდან გამომდინარე. გადმოცემის თანახმად, ეს ადგილი დადიანების საზაფხულო რეზიდენციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მონაკვეთს წარმოადგენდა. სწორედ ამ ადგილზე იყო მათთვის მოწყობილი საბანაო მონაკვეთი. ტერიტორია გარშემორტყმულია უნიკალური კოლხური ტყით.

ქვით მოკირწყლული 700 მ-ის სიგრძის წრიული საფეხმავლო ბილიკი ვიზიტორთა ცენტრიდან იწყება და გაივლის დადიანების ისტორიულ ბილიკს. ბილიკზე განლაგებულია 2 ხიდი, 3 გადასახედი პლატფორმა, კირქვის დიდი ლოდებისგან აშენებული 30-საფეხურიანი ისტორიული კიბე.

ვიზიტორებს ასევე შესაძლებლობა აქვთ გაისეირნონ ნავით მდ. აბაშის 300-მეტრიან (ერთი გზა) მონაკვეთზე და დატკბნენ მთის მდინარის კანიონის ულამაზესი ხედებით.

ტობის ჩანჩქერი და მღვიმე - საქართველოში ყველაზე მაღალი, 234 მეტრი სიმაღლის, ტობის კასკადოვანი ჩანჩქერი, რომელიც გადმოედინება არსენ ოქროჯანაშვილის (ტობა II) სახელობის მღვიმიდან, მდებარეობს სოფელ მეორე ბაღდის სიახლოვეს, მდინარე აბაშის მარჯვენა შენაკადის ტობას ხეობაში, ზღვის დონიდან 707 მეტრზე.

მღვიმე ძნელად მისადგომია და სპეციალური აღჭურვილობის გარეშე იქ ასვლა არ არის რეკომენდებული, ხოლო შიგნით სამოგზაუროდ საჭიოა რეზინის ნავი. გამომუშავებულია ზედაცარცულ შრეებრივ კირქვებში. შესასველე (15X20 მ) ქარაფის გასწვრივ იხსნება. სამიარუსიანი, მრავალგანშტოებიანი მღვიმეში რამდენიმე დარბაზია. მათ შორის გამოირჩევა: „ნონას დარბაზი“, „ნანას დარბაზი“, „სალონი“, „უნივერსიტეტი 50“, „ტბიანი“ და სხვა დარბაზები. ქიმიური ნალექები მრავალფეროვანი ფორმებით არის წარმოდგენილი. ერთ-ერთი სტალაგმიტის სიმაღლე 7 მ აღწევს. მღვიმის ჯამური სიგრძით 1300 მ-ია. მღვიმიდან გამომავალი მდინარე, რომელიც მიწისქვეშ 4 ტბას აჩენს, წარმოქმნის 234 მ სიმაღლის, (საქართველოში ყველაზე მაღალი) ტობის კასკადური ჩანჩქერს.

ბაღდის კანიონი - ბუნების ძეგლიმდებარეობს მარტვილის მუნიციპალიტეტი, სოფელ მეორე ბაღდაში, მდინარე აბაშის ხეობა, ბაღდის მამათა მონასტრის მიმდებარედ, 295 მეტრი ზღვის დონიდან.

ბუნების ძეგლი წარმადგენს მდინარე აბაშის მიერ ასხის მასივის სამხრეთ ნაწილში, კირქვულ ქანებში გამომუშავებულ კანიონს. კანიონის სიგრძეა 1400 მ-ია, სიგანე 5-10 მ, ხოლო ჩაჭრის საღრმე 25-30 მ.

ონიორეს ჩანჩქერი - 67 მეტრი სიმაღლის ჩანჩქერი სამეგრელოში, მარტვილის მუნიციპალიტეტში, სოფელ მეორე ბაღდის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მდინარე აბაშის მარჯვენა შენაკადის ტობას ხეობაში, ზღვის დონიდან 680 მეტრზე. ონიორეს ბუნების ძეგლის კომპლექსი წარმოადგენს მღვიმისა და მისგან გადმომავალი ჩანჩქერის ერთობლიობას.

მღვიმის შესასვლელიდან 70 მეტრში 21 მეტრი სიმაღლის მიწისქვეშა ჩანჩქერია, ცალკეულ ადგილას კი გვირაბის სიგანე 12-15 მეტრს, ხოლო სიმაღლე 30 მეტრს აღწევს, მღვიმიდან გამომავალი მიწისქვეშა მდინარე კი 67 მეტრის სიმაღლის ონიორეს ჩანჩქერს წარმოქმნის.

კაღუს (ყუყღის) ჩანჩქერი - ერთ-ერთი ნაკლებად ცნობილი, პატარა მწვანეში ჩაფლული ჩანჩქერი სამეგრელოში, მარტვილის მუნიციპალიტეტში, სოფელ პირველ ბაღდასთან, მდინარე აბაშის ხეობაში, ბაღდის კანიონში. ჩანჩქერთან ახლოს მდებარეობს ბაღდის მონასტერი.

კაღუს ჩანჩქერი მდებარეობს ონიორესა და ტობის ჩანჩქერებისკენ მიმავალ ბილიკზე.

წაჩხურას (ხირზენის) ჩანჩქერი - მდებარეობს მარტვილის მუნიციპალიტეტში, სოფელ წაჩხურში, სალხინოს თემში, მდინარე წაჩხურას ხეობაში.

ლებარდეს დიდ და პატარა ტბა მდებარეობს გვირას ქედის დასავლეთ ფერდობზე.

მარტვილის სამონასტრო კომპლექსი - ადრეული შუა საუკუნეების ქრისტიანული ტაძარი და სამონასტრო კომპლექსი სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს ქალაქ მარტვილის ცენტრის მახლობლად, მაღალ ბორცვზე მოხერხებულ გეოგრაფიულ და სტრატეგიულ ადგილზე. მთის ძირში ფართოდ გადაშლილია მდინარე ცხენისწყლისა და მდინარე აბაშის ველები. მონასტრიდან თითქმის მთელი იმერეთი და სამეგრელო მოჩანს. იგი გალავნითაა შემოსაზღვრული. მთავარი ტაძარი ღვთისმშობლის მიძინების სახელობისაა. ხოლო მეგრული სახელწოდება ჭყონდიდი წარმოიშვა „დიდი ჭყონის“ - დიდი მუხისაგან. წარსულში, ჭყენიას მაღალი ბორცვი, რომელზედაც ახლა მონასტერია აღმართული, დამშვენებული იყო „ჭყონის“ (მუხის) ათასწლოვანი ხეებით.

ბაღდის მამათა მონასტერი და ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია, წაჩხურუს მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია და მამათა მონასტერი - მდებარეობს სოფელ წაჩხურში, სალხინოს თემში, ხირზენის კალთაზე, ნოჯიხევის რეააფსიდიანი ეკლესია, ნახარებაოს წმიდა გიორგის ეკლესია.

ეკონომიკა

მარტვილის მუნიციპალიტეტში მრეწველობა ძირითადად ემყარება ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულსა და ჰიდროენერგორესურსებს. ძირითადი დარგებია მეჩაიეობა, მემარცვლეობა, მეთხილეობა და მეცხოველეობა. მნიშვნელოვანია აგრეთვე მეხილეობა და მევენახეობა.

მარტვილის მუნიციპალიტეტში პერსპექტიულია ჩაისა და ვაზის ენდემური სახეობის „ოჯალემის“ წარმოება. მუნიციპალიტეტში შემორჩენილია 963 ჰა ჩაის პლანტაცია. სოფ. დიდი ჭყონში ფუნქციონირებს რამოდენიმე ჩაის მიკრო გადამამუშავებელი ქარხნები, სადაც დასაქმებულია 50 ოჯახი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ჩაის პლანტაციების სრული ათვისების შემთხვევაში 4,000-მდე ადამიანი დასაქმდება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს მიკრო ჰიდრო-ელექტრო სადგური „აბ ჰესი“. ასევე აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტში არსებული ალპური საძოვრებისა და სხვა რესურსების გათვალისწინებით არსებობს მეცხოველეობის დარგის განვითარების პოტენციალი, ხოლო აუთვისებული სასოფლო მიწის ნაკვეთების სრულად დატვირთვის შემდეგ კიდევ უფრო გაიზრდება მარცვლეულის წარმოება.

სოფლის მეურნეობა მუნიციპალიტეტში მცხოვრები ადამიანების უმეტესი ნაწილი მიეკუთვნება თვითდასაქმებულთა სეგმენტს, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა საკუთარ სასოფლო-სამეურნეო მეურნეობებში არის დასაქმებული.

მარტვილის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული მდებარეობა ხელსაყრელია ბიო მეურნეობების განვითარებისათვის. მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს 28,686 ჰა უჭირავს, აქედან კერძო საკუთრებას შეადგენს 12,621 ჰა, დანარჩენი ფართობი სახელმწიფო საკუთრებაა, დანიშნულების მიხედვით მისი განაწილება შემდეგნაირად ხდება: საძოვარი - 13,591 ჰა, სახნავი - 8,920 ჰა და მრავალწლიანი კულტურები - 6,157 ჰა. მუნიციპალიტეტში დაუმუშავებელია 900 ჰა ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი.

მეცხოველეობა მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია მეცხოველეობა განსაკუთრებით დიდი მოთხოვნა ადგილობრივად დამზადებულ სულგუნზე და ზოგადად რძის პროდუქტებზე. მუნიციპალიტეტის მიწის რესურსებთან შედარებით პირუტყვის რაოდენობა რამდენჯერმე აღემატება ნორმის ფარგლებს, აქედან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ რომ მიწის ნაყოფიერების მხრივ მთლად სახარბიელო მდგომარეობა არ არის, ჭარბძოვების შედეგად შესაძლებელია სავარგულების დეგრადირება და ნაყოფიერების გაუარესება, თუ საქმიანობაში მომთაბარე მეცხოველეობა არ ჩაერთო ან არ დარეგულირდა პირუტყვის და საძოვრების ბალანსი.

მემცენარეობა: დღეისათვის მრავალწლოვანი ფართობები კულტურების მიხედვით შემდეგნაირადაა განაწილებული: ვენახი 362 ჰა, სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურები 707 ჰა, ხეხილი 478 ჰა, ჩაი 963 ჰა, კაკლოვანი კულტურები 3940 ჰა, ციტრუსი 11 ჰა, კენკროვნები 20 ჰა და სხვა ტუნგო 270 ჰა.

იმის გამო რომ არ არსებობს მოთხოვნა და შესაბამისი ინფრასტრუქტურა, საერთოდ დაუტვირთავია 270 ჰა ფართობის მქონე ტუნგოს პლანტაცია, ასევე არ ხდება ჩაის ფართობების მთლიანად ჩართვა საწარმოო პროცესში.

მუნიციპალიტეტში სეზონზე, მხოლოდ ხეხილის უმნიშვნელო ნაწილის რეალიზაცია ხდება. ხეხილოვანი კულტურები მუნიციპალიტეტში არ იწამლება და შედარებით სუფთაა ეკოლოგიური თვალსაზრისით, თუმცა ვიზუალურად ნაკლებ ეფექტიანია, შესაბამისად სარეალიზაციო პოტენციალი ნაკლებად გააჩნია. თუმცა მეხილეობა მუნიციპალიტეტისათვის ხელსაყრელი დარგია და თესლოვან-კურკოვანი ხეხილის გადამამუშავებელი ინფრასტრუქტურის განვითარება ხელს შეუწყობს მის აღორძინებას.

საკმაოდ პერსპექტიულია მუნიციპალიტეტისათვის ხურმის წარმოება, მარტვილის ხურმის ჩირი საკმაოდ მაღალი ცნობადობით ხასიათდება და ბაზარზე მოთხოვნადია, ძირითადად კუსტარულ პირობებში დამზადებული ჩირი ხვდება ბაზარზე. მარტვილის მუნიციპალიტეტში კიწიის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარეობს ჩირის საშრობი საწარმო, რომელიც 2018 წლიდან ჩართულია საწარმოო პროცესებში.

მევენახეობა მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფლის ერთ-ერთი წამყვანი დარგია, სალხინო-თარგამეული-ბანძას მიკროზონა საუკეთესოა ოჯალემის ვენახის წარმოებისათვის და პოპულარობით სარგებლობს მომხმარებელში.

ერთწლოვანი ნათესი ფართობები კატეგორიების მიხედვით შემდეგნაირადაა განაწილებული: სიმინდი 7,090 ჰა, სოიო 100 ჰა, ლობიო 6 ჰა და შვრია 20 ჰა, აქედან 11% დაუმუშავებელია.

მეფუტკრეობა მუნიციპალიტეტში სულ 9,550 სკა ფუტკარია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი რესურსები თავისუფლად იძლევა დარგის კიდევ უფრო განვითარების შესაძლებლობას.

მეთევზეობა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული 9 თევზსაშენი ტბორიდან, რომლის სარკის ფართობი 6,5 ჰა-ს შეადგენს, ფუნქციონირებს მხოლოდ 2 და აწარმოებს წელიწადში 0,5 ტონა თევზს. გარდა ამისა მუნიციპალიტეტში 2 საკალმახე მეურნეობაა, სარკის საერთო ფართობით 0,2 ჰა. თუმცა ფუნქციონირებს ორივე მათგანი და აწარმოებენ წელიწადში 5 ტონა კალმახს. სატბორე მიმართულების მეთევზეობის განვითარებისათვის არახელსაყრელ პირობებს ქმნის საკვები ბაზის ხელმიუწვდომლობა და ხარისხიანი სანაშენე ლიფსიტის დეფიციტი.

სულ მუნიციპალიტეტში დარეგისტრირებულია 583 ფერმერული მეურნეობა და 15 სასოფლო-სამეურნეო საწარმო.

მარტვილის მუნიციპალიტეტი მდებარეობს სუბტროპიკულ ზონაში. პერიოდულად ადგილი აქვს გვალვებს. გვალვის პერიოდში, საირიგაციო სისტემის არარსებობის გამო ვერ ხდება რწყვა, რაც უარყოფითად მოქმედებს მოწეული მოსავლის რაოდენობასა და ხარისხზე.

მუნიციპალიტეტში 3 საირიგაციო სისტემა არსებობდა და ასარწყავიანებდა დაახლოებით 500 ჰა-მდე მიწის ფართობს. დღეისათვის ეს ინფრასტრუქტურა მწყობრიდანაა გამოსული და საჭიროებს რეაბილიტაციას, მოსახლეობის დიდი ნაწილი ვერ ახერხებს მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების სათანადოდ მოვლასა და დამუშავებას. რეაბილიტაცია ჩატარდა ცხენისწყალ-ნოდელას ღია სარწყავ სისტემას, რომლის სარეკონსტრუქციო-წმენდითი სამუშაოების ჩატარების შედეგად გაიზარდა როგორც ერთწლიანი, ისე მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობა, საგრძნობლად გაუმჯობესდება მეცხოველეობის საკვები ბაზა.

ბოლო წლების მონაცემები მეტყველებენ, რომ მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების ყველაზე დიდი კომპონენტი არის ქონების გადასახადიდან მიღებული შემოსავლები. 2019 წლიდან საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ მუნიციპალიტეტების დეცენტრალიზაციის სტრატეგიის ფარგლებში გადადგმულმა ნაბიჯებმა (საბიჯეტო კოდექსში განხორციელებული ცვლილება, რის მიხედვითაც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში რჩება დამატებული ღირებულების გადასახადის გაერკვეული ნაწილი) მნიშვნელოვნად გაზარდა მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლები. მიუხედავად იმისა, რომ მარტვილის მუნიციპალიტეტს აქვს საშუალება საკუთარი შემოსავლებით გარკვეულწილად დამოუკიდებლად უზრუნველყოს თავისი ექსკლუზიური უფლებამოსილებები, იგი მაინც საჭიროებს კაპიტალური პროექტების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტის დახმარებას. მაგალითად 2020 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ მიზნით გამოყოფილიმა სახსრებმა მთლიანი ბიუჯეტის 88,0 პროცენტი შეადგინა. აღნიშნული კი მეტყველებს იმაზე, რომ მუნიციპალიტეტმა რომ განახორციელოს თავისი ინსტიტუციური, სოციალური და ეკონომიკური ფუნქციები, დამოკიდებული არ არის მხოლოდ ბორჯომის მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ ზრდაზე, არამედ მთელი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე და მთლიანი შიდა პროდუქტის განაწილების წესზე. ეს გარემოება კი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს დამოკიდებულს ხდის მოზიდულ სახსრებსა და ცენტრალური ხელისუფლების მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტებზე, რაც მუნიციპალიტეტის განვითარების გრძელვადიანი ფინანსური სტრატეგიის შემუშავებაში უმთავრეს რისკ ფაქტორს შეადგენს.

თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

2.1 შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2022-2025 წლებისთვის

საშუალოვადიან პერიოდში საბიუჯეტო შემოსულობების პროგნოზული გათვლებისას, გათვალისწინებულ იქნა 2022-2025 წლებისათვის ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის პირველადი ვარიანტით განსაზღვრული მაკროეკონომიკური და ფისკალური მონაცემები. ასევე ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა მარტვილის

მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების შემოსულობების პროგნოზი სამუალოვანი პერიოდში. დღგ-დან შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები დათვლილია საბიუჯეტო კოდექსის 71-ე მუხლის შესაბამისად.

მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლის შემოსავლებისა და ხარჯების საპროგნოზო აგრეგირებული მაჩვენებლები განისაზრვა შემდეგნაირად:

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
შემოსავლები	16 261,2	16907,1	11106,0	11 862,2	12 885,0	13 837,4
გადასახადები	7 876,8	9319,9	10478,4	11 282,2	12 305,0	13257,4
გრანტები	7 851,9	7167,2	155,0	150,0	150,0	150,0
სხვა შემოსავლები	532,5	420,0	472,6	430,0	430,0	430,0
ხარჯები	7 565,6	8818,5	9881,4	9 978,3	10 408,0	11 139,9
შრომის ანაზღაურება	2 148,1	2280,6	3006,3	3 208,1	3 400,1	3 400,1
საქონელი და მომსახურება	994,7	1448,4	1185,5	1 200,0	1 300,0	1 500,0
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
პროცენტი	104,7	85,0	65,1	140,2	27,9	9,8
სუბსიდიები	2 982,3	3670,5	4298,3	4 000,0	4 000,0	4 300,0
გრანტები	3,9	30,0	30,0	30,0	30,0	30,0
სოციალური უზრუნველყოფა	926,8	910,8	949,0	1 000,0	1 200,0	1 400,0
სხვა ხარჯები	405,1	393,2	347,2	400,0	450,0	500,0
საოპერაციო სალდო	8 695,7	8088,6	1224,6	1 883,9	2 477,0	2 697,5
არაფინანსური აქტივების ცვლილება	8 164,4	9571,8	1055,0	1 800,0	2 270,2	2 581,9
ზრდა	8 254,0	9691,8	1175,0	1 800,0	2 270,2	2 581,9
კლება	89,6	120,0	120,0	0,0	0,0	0,0
მთლიანი სალდო	531,3	-1 483,3	169,6	83,9	206,8	115,6
ფინანსური აქტივების ცვლილება	378,0	-1 648,3	0,0	0,0	0,0	0,0
ზრდა	623,3	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	623,3	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
კლება	245,3	1 648,3	0,0	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	245,3	1 648,3	0,0	0,0	0,0	0,0
ვალდებულებების ცვლილება	-153,3	-165,0	-169,6	-83,9	-206,8	-115,6
ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
საგარეო	0,0	0,0	0,0			
საშინაო	0,0	0,0	0,0			
კლება	153,3	165,0	169,6	83,9	206,8	115,6
საგარეო	0,0	0,0	0,0			
საშინაო	153,3	165,0	169,6	83,9	206,8	115,6
ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

2.2 გასული 2020 წლის და მიმდინარე 2021 წლის ბიუჯეტის შესრულება

2020 წელი - ბიუჯეტის შესრულების ანალიზი

მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლება, ფინანსური აქტივების კლება, ვალდებულებების ზრდა) და ნაშთი ცვლილების გეგმა განისაზღვრა 17328.9 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 16350.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის 94%-ი.

ბიუჯეტის შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) სახით მოზილზეებულია 16261.2 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (17208.9 ათასი ლარი) 94% და მთლიანი - შემოსულობების 99% შეადგინა. მათ შორის:

გადასახადების სახით მოზილზეებულია 7876.8 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 8611.7 ათასი ლარის 91%. წინა წელთან შედარებით (ფაქტი - 8400.0 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 523.2 ათასი ლარით ნაკლები შემოსავალია მიღებული. აკუმულირებული თანხის დიდი ნაწილი ქონების გადასახადზე მოდის. ქონების გადასახადიდან მიღებულია 471.0 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადი - 259.2 ათასი ლარი, %-ით. ფიზ. პირთა ქონების გადასახადი 4,7 ათასი ლარი, მიწის გადასახადი - 207.1 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი - 98,1 ათასი ლარი, იურიდიულ პირთა ქონების გადასახადი 109,0 ათასი ლარი, დამატებული ღირებულების გადი 7405,8 ათასი ლარი.

გრანტების სახით მიღებულია 7851,9 ათასი ლარი, მათ შორის: უცხო სახელმწიფოთა მთავრობებიდან მიღებული გრანტები - 40,0 ათასი ლარი, სპეციალური ტრანსფერი - 300,0 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 451,5 ათასი ლარი, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან კაპიტალური ტრანსფერის სახით მიღებულია - 6250,3 ათასი ლარი, სპეციალური ტრანსფერის სახით 572,7 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლების სახით მოზილზეებულია 532,5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 507,7 ათასი ლარის 105%-ია.

ათასი ლარი

დასახელება	2020 წლის გეგმა	2020 წლის ფაქტი	+/-	%
შემოსავლები	17 208,9	16 261,2	-947,6	94,4
გადასახადები	8 611,7	7 876,8	-734,9	91,5
გრანტები	8 089,5	7 851,9	-237,5	97
სხვა შემოსავლები	507,7	532,5	24,8	104

არაფინანსური აქტივების კლებიდან 2020 წელს მოზილზეებული იქნა 89,6 ათასი ლარის შემოსავალი, რაც გეგმის (120.0 ათასი ლარის) 75%-ია. მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებულია 16,7 ათასი ლარი, არაწარმოებული აქტივების (მიწის) გაყიდვიდან - 72,9 ათასი ლარი. არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მიღებული თანხების წილი შემოსულობებში 0,1% შეადგენს.

2020 წლის დასაწყისისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 1260,0 ათასი ლარი, ხოლო 2019 წლის ბოლოსათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 277,8 ათასი ლარი.

2020 წელს გადასახდელების საკასო შესრულების - 86%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა, რაც 15972,8 ათას ლარს შეადგენს.

მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგნაირად მიიღარა:

- ✓ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 2992,8 ათასი ლარი;
- ✓ ეკონომიკური საქმიანობა - 6075,9 ათასი ლარი;
- ✓ გარემოს დაცვა - 797,5 ათასი ლარი;
- ✓ საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 1619,0 ათასი ლარი;
- ✓ ჯანმრთელობის დაცვა - 685,1 ათასი ლარი;
- ✓ დასვენება, კულტურა და რელიგია - 1151,9 ათასი ლარი;
- ✓ განათლება - 2053,5 ათასი ლარი;
- ✓ სოციალური დაცვა - 443,7 ათასი ლარი.

2020 წელს განსაზღვრულ პრიორიტეტებზე მიმართულმა სახსრებმა შეადგინა 15972.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (17450.4 ათასი ლარი) 93%-ია. მათ შორის:

- ✓ ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და რეკონსტრუქციის ხარჯები დაზუსტებული გეგმით უნდა გაწეულიყო 9206.3 ათ. ლარის ოდენობით ფაქტიურად გაწეულია 7906.4 ათ. ლარის ხარჯი, გეგმიურის 86%. გახარჯულია გეგმიურთან შედარებით 1299.9 ათ. ლარით ნაკლები;
- ✓ დასუფთავება და გარემოს დაცვის ხარჯები დაზუსტებული გეგმით ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით უნდა გაწეულიყო 686.7ათ. ლარის ოდენობით. ფაქტიურად გაწეულია 586.1 ათ. ლარის ხარჯი, გეგმიურის 85%. ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია - 50.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (51.5 ათასი ლარი) 92%-ია;
- ✓ განათლების ხარჯები დაზუსტებული გეგმით უნდა გაწეულიყო 2736.1ათ. ლარის ოდენობით. ფაქტიურად გაწეულია 2053.5 ათ. ლარის ხარჯი, გეგმიურის 75%;
- ✓ კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების ხარჯები 1151.9 ათასი ლარის ოდენობით, რაც გეგმის (1269.6 ათასი ლარი) გეგმიურის 91%;
- ✓ ესოციალური და ჯანდაცის პროგრამების ხარჯები 1128.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (1139.0 ათასი ლარი) გეგმიურის 99%;
- ✓ მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები 3146.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (3434.4 ათასი ლარი) 92%-ია.

2021 წლის ბიუჯეტის 6 თვის მაჩვენებლები

მუნიციპალიტეტის 2021 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის მოცულობა შეადგენს 17718.4 ათას ლარს. ბიუჯეტის შემოსავლების სახით 2021 წლის 6 თვის მონაცემებით მობილიზებულია 8120,8 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (16081,4 ათასი ლარი) 50%-ია, მათ შორის:

გადასახადების ფაქტიურმა შესრულებამ 6 თვეში შეადგინა 4336,9 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (8615,3 ათასი ლარი) 80%-ია;

გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 3437,5 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (6826,1 ათასი ლარი) 85%-ია, აქედან: სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები 20.0 ათასი ლარი , მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად -461,9 ათასი ლარი, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სპეციალური ტრანსფერის სახით 2955,6 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლების სახით მობილიზებულია 226,6 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (520,0 ათასი ლარი) 44%-ია, მათ შორის: პროცენტების სახით მიღებულია 75,9 ათასი ლარი, რენტის სახით მობილიზებულია 27,5 ათასი ლარი, საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებულია 13,9 ათასი ლარი, სანქციები (ჯარიმები და საურავები) 53,0 ათასი ლარი, შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან მიღებულია 34,7 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივები რეალიზაციიდან, კერძოდ არაწარმოებული აქტივების (მიწის) გაყიდვიდან მობილიზებულია 119,8 ათასი ლარი, რაც გეგმის (120.0 ათასი ლარი) 99,8%-ია.

2021 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა შეადგინა 1237.0 ათასი ლარი, ხოლო 6 თვეში ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრების გამოყენებამ შეადგინა 427,1 ათასი ლარი.

	2020 წლის 6 თვე	2021 წლის 6 თვე
გადასახადები	3499,226	4336,883
ქონების გადასახადი	274,095	223,976
სხვა გადასახადები	3225,131	4112,907
გრანტები	1640,12	3437,544
სხვა შემოსავლები	216,151	226,553
შემოსავლები საკუთრებიდან	55,477	124,962
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	132,385	13,913
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	24,792	52,996

შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	3,497	34,682
არაფინანსური აქტივების კლება	49,459	119,815
შემოსულობა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან	3,875	0,0
შემოსულობა არაწარმოებლური აქტივების (მიწის) გაყიდვიდან	45,584	119,815
ფინანსური აქტივების კლება	0,0	0,0
სულ შემოსულობების ჯამი	5405,0	8120,8

2021 წელს განსაზღვრულ პრიორიტეტებზე 6 თვის განმავლობაში მიმართულ იქნა 7754,0 ათასი ლარი (6 თვის გეგმის 12290,4 ათასი ლარის 63%-ი). მათ შორის:

- ✓ ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და რეკონსტრუქციის ხარჯები დაზუსტებული გეგმით უნდა გაწეულიყო 6452,5 ათ. ლარის ოდენობით ფაქტიურად გაწეულია 3607,9 ათ. ლარის ხარჯი, გეგმიურის 93%.
 - ✓ დასუფთავება და გარემოს დაცვის ხარჯები დაზუსტებული გეგმით ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით უნდა გაწეულიყო 369,5ათ. ლარის ოდენობით. ფაქტიურად გაწეულია 278,4 ათ. ლარის ხარჯი, გეგმიურის 88%.
 - ✓ განათლების ხარჯები დაზუსტებული გეგმით უნდა გაწეულიყო 1741,6 ათ. ლარის ოდენობით. ფაქტიურად გაწეულია 1117,1 ათ. ლარის ხარჯი, გეგმიურის 64%;
 - ✓ კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების ხარჯები 614,9 ათასი ლარი, რაც გეგმის (760,3 ათასი ლარი) გეგმიურის 81%;
 - ✓ ვ) სოციალური და ჯანდაცის პროგრამების ხარჯები 532,0 ათასი ლარი, რაც გეგმის (687,8 ათასი ლარი) გეგმიურის 77%;
 - ✓ მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები 1603,8 ათასი ლარი, რაც გეგმის (2278,6 ათასი ლარი) 70%-ია.
- 2021 წელს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ სოციალურად დაუცველ ოჯახებზე და სხვა მოქალაქეებზე სოციალური დახმარებების და სხვადასხვა შეღავათებით უზრუნველყოფისათვის გამოყოფილია 1002.3 ათასი ლარი, 6 თვეში გახარჯულია 460,3 ათასი ლარი;
 - 2021 წელს საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის დაგეგმილია 5020,4 ათასი ლარი, გრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებისკენ მიმართული მრავალმხრივი სამუშაოები, რათა გაუმჯობესდეს ცენტრალური და შიდა გზების მდგომარეობა;
 - 2021 წელს კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაციისთვის გამოყოფილია 1004,9 ათას ლარი.
 - საინჟინრო ნაგებობებისა და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქციისათვის გამოყოფილია 1823,2 ათასი ლარი. გრძელდება საინჟინრო ინფრასტრუქტურის ობიექტების (კომუნიკაციები, საყრდენი კედლები, ხიდები) გაუმჯობესება, საკანალიზაციო და სანიაღვრე ქსელების გამიჯვნით ეკოლოგიური გარემოს გაუმჯობესება და მოსახლეობისათვის უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნა;
 - კულტურის, სპორტის და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შენობების კეთილმოწყობის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების და მშენებლობის მიზნით გამოყოფილია 495,9 ათასი ლარი;
 - სესხების მომსახურებასა და ვალების დაფარვაზე მიმართება 250,0 ათასი ლარი.

მუხლი 14. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები, მათი აღწერის, მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორები

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტის დოკუმენტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განვითარების ერთ-ერთ ძირითად დოკუმენტს, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შესახებ, ანუ მასში გათვალისწინებულია ძირითადი პრიორიტეტები და მიმართულებები გასული, მიმდინარე, დასაგეგმი და დასაგეგმის შემდგომი სამი წლისათვის.

2021 წლისთვის, ჩამოყალიბდა მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითადი მიმართულებები და გამოიკვეთა ბიუჯეტში გასათვალისწინებელი პრიორიტეტები და პროგრამები.

მარტვილის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- განათლება;
- კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები;
- ტურიზმი;

1. მმართველობა და საერთო დანიშნულების დაფინანსება განისაზღვროს 4292.5 ათასი ლარით.

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2022 წლის პროექტი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	4,292.5
01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	1,051.9
01 02	მუნიციპალიტეტის მერია	2,801.3
01 03	სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური	124.6
01 04	სარეზერვო ფონდი	40.0
01 06	მუნიციპალური განვითარების პროგრამის თადაფინანსების ხარჯები	234.7
01 07	„საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა მიზნობრივი პროგრამა“	40.0

პროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალიტეტის საჯრო მოხელეთა პროფესიული განვითარება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	01 02		17.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მარტვილის მუნიციპალიტეტის მერია (ადმინისტრაციული სამსახური)		
პროგრამის აღწერა და მიზანი	საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 101-ე მუხლის მე-2 ქვეპუნქტისა და „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის, მასში ჩართული უწყებების უფლებამოსილებებისა და ამ სისტემის ფუნქციონირების პრინციპებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 ივლისის № 319 დადგენილების შესაბამისად განისაზღვრა ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემა, მასში ჩართული უწყებების უფლებამოსილებები და ამ სისტემის ფუნქციონირების პრინციპები და წესი, რომლის შესაბამისად მუნიციპალიტეტი საჯარო მოხელეებისთვის დაკისრებული მოვალეობების ეფექტიანად შესრულების		

	ხელშეწყობის, მათი შესაძლებლობების გამოვლენის, პოტენციური სირთულეების იდენტიფიცირებისა და მოგვარების სტრატეგიების დაგეგმვის მიზნით უზრუნველყოფს კვალიფიკაციის ამაღლების მოქნილი სისტემის ჩამოყალიბებას. პროგრამით განსაზღვრულია მუნიციპალიტეტში დასაქმებული საჯარო მოხელეების გადამზადება სხვადასხვა სფეროებში. მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება, შესაბამისი ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაღრმავება- გამომუშავება, მათთვის დაკისრებული მოვალეობების ეფექტიანად შესრულების ხელშეწყობის მიზნით.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	დანერგულია საჯარო მოხელეების პროფესიული განვითარების უწყვეტი სისტემა

პროგრამის დასახელება	კოდი	სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	01 03		90.7
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	სავალდებულო სამხედრო სამსახურში წვევამდელთა გაწვევის პროცესის შეუფერხებლად წარმართვა. წვევამდელთა გაწვევის მიზნით მარტვილის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირება (ქ. თბილისში)		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის პროცესი ხორციელდება შეუფერხებლად.		

სასესხო ვალდებულებების დაფარვის პროგრამა
 მ.გ.ფ - სა და მუნიციპალიტეტის სხვა ვალდებულებების დაფარვა.

პროგრამის განაცხადის ფორმა					
პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:					
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება					
პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	01 06				
პროგრამის დასახელება:					
სასესხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა					
პროგრამის განმახორციელებელი:	მარტვილის მუნიციპალიტეტის მერია				
პროგრამის განხორციელების პერიოდი:	2021-2024 წლები				
პროგრამის მიზანი:	მარტვილი მუნიციპალიტეტის მიერ აღებული სასესხო ვალდებულებების დადგენილ ვადებში დაფარვა				
პროგრამის აღწერა:					
საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების მომსახურება					

პროგრამის ბიუჯეტი					
დასახელება	სულ	2022 წელი	2023 წელი	2025 წელი	2025 წელი
საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების მომსახურება	650,364	234,7	234,7	234,7	125,3
საბოლოო მოსალოდნელი შედეგი					
შემცირებულია არსებული სასესხო ვალდებულებები					

მუხლი 15. ინფრასტრუქტურის განვითარება

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხები განისაზღვროს 1562.0 ათ. ლარით:

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2021 წლის გეგმა	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	9,033.8	1562.0	1,835.0	2,195.0	2,335.0
02 01 01	გზების მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა	3,230.5	0.0	50.0	100.0	100.0
02 01 02	ხიდ-ბოგირები მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა	1,789.9	0.0	70.0	80.0	80.0
02 02 01	შენობების და სახურავების რეაბილიტაცია, რეკონსტრუქცია	665.1	158.0	100.0	150.0	150.0
02 02 02	გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	25.6	0.0	50.0	50.0	50.0
02 02 03	წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	154.4	108.0	120.0	170.0	200.0
02 02 04	პარკების სკვერებისა და მათი მიმდებარე ინფრასტრუქტურის მოწყობა	109.4	0.0	50.0	80.0	100.0
02 02 05	საპროექტო-სახანრთაღრიცხვო, ექსპერტიზის და ზედამხედველობის ხარჯები	229.6	350.0	350.0	400.0	400.0
02 02 07	გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	420.0	452.0	470.0	500.0	550.0
02 03	საკადასტრო რუკების მომზადება	5.0	5.0	5.0	5.0	5.0
02 05	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	1,189.1	0.0	0.0	0.0	0.0
02 06	კეთილმოწყობის ცენტრი	194.1	189.0	220.0	260.0	300.0
02 07	სპორტული მოედნების მოწყობა	0.4	0.0	50.0	100.0	100.0
02 08	სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის ხარჯები	384.7	0.0	0.0	0.0	0.0
02 09	რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება	635.9	300.0	300.0	300.0	300.0

კოდი	პროგრამის დასახელება	შენიშვნების და სახურავების რეაბილიტაცია, რეკონსტრუქცია	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 02 01			158,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		მარტვილის მუნიციპალიტეტის 'ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური	
პროგრამის აღწერა		პროგრამის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები: მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია; მრავალბინიანი კორპუსების რეაბილიტაციის დაფინანსება.	
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		ქალაქის იერსახის გაუმჯობესება.	

კოდი	პროგრამის დასახელება	წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 02 03			100,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		მარტვილის მუნიციპალიტეტის 'ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური	
პროგრამის აღწერა		მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დღეის მდგომარეობით წყალი მიეწოდება მოსახლეობის 40 პროცენტს, დანარჩენ მოსახლეობას წყალი არ მიეწოდება რადგან ზოგ შემთხვევაში გამოსულია მწყობრიდან და მოძველებულია წყლის სისტემები და ზოგ შემთხვევაში სისტემა საერთოდ არ არის და შესაბამისად ახალი სისტემებია დასამონტაჟებელი. მუნიციპალიტეტში დაგეგმილია ახალი სისტემების გაყვანა რათა მოსახლეობა ქონდეს ხარისხიანი და 24 საათიანი წყალმომარაგება. აგრეთვე დამონტაჟდეს მრიცხველები და რაც საშუალებას მოგვცემს მოსახლეობამ შეძლოს წყლის ღირებულოების გადახდა და აკუმულირებული სახსრებით წყლის სისტემის მდგრადი ფუნქციონირება.	
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		წყალსადენი ქსელის შეუფერხებელი ფუნქციონირება	

კოდი	პროგრამის დასახელება	წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	2022 წლის დაფინანსება
------	----------------------	---	-----------------------

	დასახელება		ათას ლარში
02 02 03			100,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მარტვილის მუნიციპალიტეტის 'ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა	<p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დღეის მდგომარეობით წყალი მიეწოდება მოსახლეობის 40 პროცენტს, დანარჩენ მოსახლეობას წყალი არ მიეწოდება რადგან ზოგ შემთხვევაში გამოსულია მწყობრიდან და მოძველებულია წყლის სისტემები და ზოგ შემთხვევაში სისტემა საერთოდ არ არის და შესაბამისად ახალი სისტემებია დასამონტაჟებელი. მუნიციპალიტეტში დაგეგმილია ახალი სისტემების გაყვანა რათა მოსახლეობა ქონდეს ხარისხიანი და 24 საათიანი წყალმომარაგება. აგრეთვე დამონტაჟდეს მრიცხველები და რაც საშუალებას მოგვცემს მოსახლეობამ შეძლოს წყლის ღირებულების გადახდა და აკუმულირებული სახსრებით წყლის სისტემის მდგრადი ფუნქციონირება.</p>		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	წყალსადენი ქსელის შეუფერხებელი ფუნქციონირება		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საპროექტო-სახართაღრიცხვო, ექსპერტიზის და ზედამხედველობის ხარჯები	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 02 05		350,0

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მარტვილის მუნიციპალიტეტის 'ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური		
--------------------------------	--	--	--

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ამასთან, იმ ხელშეკრულებებზე რომელთა ღირებულება არ აღემატება 50.0 ათას ლარს პროექტის შემდგენი ახორციელებს შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზას. ამ პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება 50.0 ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა. პროგრამის მიზანია სამშენებლო სამუშაოების უზრუნველყოფა საპროექტო დოკუმენტაციით. სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად, სამშენებლო-სამონტაჟო და აღდგენა-რეკონსტრუქციის სამუშაოების ჩასატარებლად აუცილებელია შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება, სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს სხვადასხვა ტექნიკური პირობების მოთხოვნები. პროექტების ექსპერტიზა და მშენებლობისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება; საინჟინრო ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაციის ტექნიკური ზედამხედველობა; საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციის ანალიზი და სხვა ღონისძიებები. რაც განაპირობებს ხარისხიან ხარისხიანად კარგად შესრულებულ სამუშაოებს.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	სრულყოფილი საპროექტო დოკუმენტაცია		

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
	შემენილი პროექტების რაოდენობა;საგარანტიო ვადაში, ობიექტზე	44	30	№/A

	წარმოშობილი ხარვეზის შედეგად მუნიციპალიტეტისათვის მიყენებული ზიანი			
--	--	--	--	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 02 07		452,0

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ს(ა)იპ „მარტვილის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“		
--------------------------------	--	--	--

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში დამის პერიოდში მოსახლეობის უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას, შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება. დღეის მდგომარეობით, გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს დასახლებული ტერიტორიის 70%-ზე.</p> <p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი მოიცავს დაახლოებით 2000 ბოძს, ამდენივე სანათს. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება: – გარე განათების წერტილების (ქუჩები, მოედნები, პარკები, სკვერები, შენობა-ნაგებობები) მოვლა-ექსპლოატაცია და მოხმარებული ელ. ენერჯის საფასურის დაფარვა; ქუჩების განათების სამუშაოები და ელ. ენერჯის ქსელში ჩართვა. პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი გარე განათების სისტემის შექმნა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში შეძლებს უზრუნველყოს გარე განათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება. შედეგად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ის ნაწილი, სადაც მოწყობილია გარე განათება ქსელი განათებული იქნება სრულად, ხოლო პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების აღმოფხვრა მოხდება ოპერატიულად. პროგრამის მიზანს ასევე წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის სრულად მოცვა გარე განათებით.</p>		
-------------------------------	--	--	--

მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის გადაადგილებისთვის უსაფრთხო და კომფორტული გარემო		
--------------------	---	--	--

	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	განათებული დასახლებული ტერიტორიის მოცულობა	75%	80%	მოსახლეობის მომართვიანობა, ავარიული სიტუაციები, ელ. ენერჯის ცვალებადობა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში		
	02 06		189,0		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ს(ა)იპ „მარტვილის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“				
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	აღნიშნული პროგრამის მიხედვით შექმნილია „კეთილმოწყობის ცენტრი“ რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: მწვანე საფარის მოვლა პატრონობა, შადრევნებისა და აუზების, წყლის სისტემების გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფა, ტროტუარებისა და ბორდიურების კეთილმოწყობა, ქალაქის ტერიტორიის მოხეტიალე პირუტყვისაგან დაცვა.				
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის გადაადგილებისთვის უსაფრთხო და კომფორტული გარემო				
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები	
	კმაყოფილი მოსახლეობა	60%	80%	2-3%	

პროგრამის დასახელება	კოდი	საკადასტრო რუკების მომზადება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში		
	03 00		5,0		
პროგრამის განმახორციელებელი	ს(ა)იპ „მარტვილის მუნიციპალიტეტის 'ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახური“				
პროგრამის აღწერა და მიზანი	საკადასტრო ნახაზები მომზადდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასოფლო და არასასოფლო მიწების პრივატიზებისათვის.				
მოსალოდნელი შედეგი	ეკოლოგიურად ჯანსაღი გარემო, დასუფთავების მუნიციპალური სერვისის ხარისხიანი ფუნქციონირება;				

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	რეგიონის ფონდის თანადაფინანსება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში		
	02 09		300,0		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მარტვილის მუნიციპალიტეტის 'ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური				
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება რეგიონის განვითარების ფონდიდან გამოყოფილი ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება.				
მოსალოდნელი შედეგი	ქალაქის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება				

პრიორიტეტის დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხები განისაზღვროს 699.0 ათ. ლარით:

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2021 წლის გეგმა	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
